

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	14
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	17
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	18
9. გაცემული სესხები	18
10. წინასწარ გადახდილი თანხები	18
11. ძირითადი საშუალებები	19
12. კრედიტორული დავალიანება	20
13. მიღებული სესხები	20
14. საწესდებო კაპიტალი	20
15. შემოსავალი	20
16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21
18. სხვა საოპერაციო ხარჯები	21
19. საკურსო მოგება / (ზარალი)	21
20. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21
21. ფინანსური რისკის მართვა	22
22. დაკავშირებული მხარეები	25
23. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	26
24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დ.ს. ესთეით“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დ.ს. ესთეით“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ვინაიდან ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2019 წლის 3 მარტს, საშუალება არ გვქონდა დავეყრდნობოდით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ისევე როგორც 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. ვერც ალტერნატიული საშუალებებით ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით მარაგების რაოდენობის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 524,482 ლარის ოდენობით (550,660 ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და 397,457 ლარი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით). შედეგად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ დავრწმუნდით რეალიზებული საქონლის თვითღირებულების, კერძოდ 640,369 ლარის ოდენობის ნედლეულისა და მასალების თვითღირებულების სისწორეში, და თუ რამდენად სწორდ ახდენს სააღრიცხვო პროგრამა პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით. კომპანიას აქვს რამდენიმე ანგარიში სადაც ჯამურად აღრიცხავს მრავალ სხვადასხვა დასახელების პროდუქციას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ღირებულებით, ასევე დანიშნულებით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რა რაოდენობით არის შეძენილი კონკრეტული პროდუქტი და ასევე, რა რაოდენობა არის გახარჯული წლის განმავლობაში. ჩვენ ალტერნატიული გზითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც მოვახდენდით ნედლეულისა და მასალების თვითღირებულების დადასტურებას. შესაბამისად, სააღრიცხვო პროგრამაში არსებული შეზღუდვების გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია კომპანიის ძირითად საშუალებებზე, რომლის ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 11,105,126 ლარი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,876,683 ლარი და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 5,720,751 ლარი. ჩვენ ალტერნატიული გზითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც მოვახდენდით ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების და შესაბამისი ცვეთის ხარჯის დადასტურებას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური

ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის მმართველობის ანგარიშებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოსატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩინეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით, ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და თანხვედრაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით
 გელა მღებრიშვილი
 თბილისი, საქართველო
 2019 წლის 16 დეკემბერი

შპს „დ.ს. ესთეტიკა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	განმარტებითი შენიშვნები	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	64,962	316,344	1,385
დებიტორული მოთხოვნები	7	43,044	170,596	1,054,015
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	524,482	550,660	397,457
გაცემული სესხები	9	-	489,356	294,121
წინასწარ გადახდილი თანხები	10	403,368	502,031	443,817
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა		7,411	22,803	3,722
სულ მიმდინარე აქტივები		1,043,267	2,051,790	2,194,517
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		12,288	15,483	16,052
ძირითადი საშუალებები	11	11,105,126	8,876,683	5,720,751
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,117,414	8,892,166	5,736,803
სულ აქტივები		12,160,681	10,943,956	7,931,320
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	12	1,450,825	449,192	792,464
მოგების გადასახადის ვალდებულება		46,302	100,477	25,095
მიღებული სესხები	13	749,299	1,036,858	7,068,243
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,246,426	1,586,527	7,885,802
მიღებული სესხები	13	15,810,816	14,161,456	3,509,063
სულ ვალდებულებები		18,057,242	15,747,983	11,394,865
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	100	100	100
დაგროვილი ზარალი		(5,896,661)	(4,804,127)	(3,463,645)
სულ კაპიტალი		(5,896,561)	(4,804,027)	(3,463,545)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,160,681	10,943,956	7,931,320

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

გიორგი ფეშუაშვილი

თბილისი, საქართველო

16 დეკემბერი, 2019

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	განმარტებითი შენიშვნები	2018	2017
შემოსავლები	15	4,791,103	3,203,482
რეალიზაციის თვითღირებულება	16	(2,518,181)	(1,817,828)
საერთო მოგება		2,272,922	1,385,654
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(852,281)	(947,412)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(448,983)	(374,113)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		56,595	131
საოპერაციო მოგება		1,028,253	64,260
საპროცენტო შემოსავალი	9	12,725	28,132
საპროცენტო ხარჯი	13	(1,598,456)	(1,311,778)
წმინდა საკურსო მოგება / (ზარალი)	19	(610,418)	50,145
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20	142,097	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(60,508)	(166,287)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,086,308)	(1,335,528)
მოგების გადასახადის ხარჯი		(6,226)	(4,954)
წლის წმინდა ზარალი		(1,092,534)	(1,340,482)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,092,534)	(1,340,482)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
 გიორგი ფეშუაშვილი

თბილისი, საქართველო
 16 დეკემბერი, 2019

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2017	100	(3,463,645)	(3,463,545)
წლის სრული ზარალი	-	(1,340,482)	(1,340,482)
31 დეკემბერი 2017	100	(4,804,127)	(4,804,027)
წლის სრული ზარალი	-	(1,092,534)	(1,092,534)
31 დეკემბერი 2018	100	(5,896,661)	(5,896,561)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

გიორგი ფეშუაშვილი

თბილისი, საქართველო

16 დეკემბერი, 2019

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეტი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,887,827	3,816,652
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,249,405)	(1,584,735)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(860,385)	(1,511,528)
გადახდილი ავანსები	(243,235)	(177,460)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე	1,534,802	542,929
გადახდილი გადასახადები	(602,266)	(272)
მიღებული პროცენტი	26,146	191
გადახდილი პროცენტი	(1,623,744)	(240,618)
წმინდა ფულადი საშუალებების შემოღინება / (გაღინება) საოპერაციო საქმიანობებიდან	(665,063)	302,230
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,180,417)	(1,268,738)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	459,380	4,138,730
წმინდა ფულადი საშუალებების შემოღინება / (გაღინება) საინვესტიციო საქმიანობებიდან	(721,037)	2,869,992
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
ფულადი ნაკადების მიღება ნასესხები სახსრებიდან	1,127,747	1,956,729
ფულადი ნაკადების გაღინება ნასესხები სახსრებიდან	-	(4,758,057)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოღინება / (გაღინება) საფინანსო საქმიანობებიდან	1,127,747	(2,801,328)
ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	(258,353)	370,895
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	316,344	1,385
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი) ფულსა და ფულის ეკვივალენტებისგან	6,971	(55,935)
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	64,962	316,344

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

გიორგი ფეშუაშვილი

თბილისი, საქართველო

16 დეკემბერი, 2019

8-26 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „დ.ს. ესთეით“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაციის მისამართი არის ძველი თბილისის რაიონი, ტ. შევჩენკოს ქ. N1, თბილისი, საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის 17 აპრილს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო ბიზნესი. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფეხუაშვილი, რომელიც უშუალოდ ჩართულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
შპს მითოტელ ლიმიტედ, HE 368595 (კვიპროსი)	49.0%	49.0%	-
თეა ნაფეტვარიძე	25.5%	25.5%	50%
თეონა გვარამაძე	25.5%	25.5%	50%
	100.0%	100.0%	100.0%

კომპანიის მფლობელების - თეა ნაფეტვარიძისა და თეონა გვარამაძის წილები უზრუნველყოფაშია ჩადებული დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხზე, რომელიც წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის პირველი, რომელიც კომპანიამ მოამზადა. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედ ფასს-ს, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული. მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ არ აქვს არანირი რისკი საქმიანობა განაგრძოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან (2018 წლის 31 დეკემბერი) მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობამ ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სასტუმროს ბიზნესი წარმატებით ოპერირებს, მზარდია შემოსავლები და საოპერაციო მოგება, ასევე კომპანიას აქვს გაზრდილი აქტივები 2018 წლის ბოლოსთვის. კომპანიის წლიური ზარალი და უარყოფითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გამოწვეულია მიღებული სესხების პროცენტის ხარჯითა და შესაბამისი გადახდებით. კომპანიის ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მიღებულ სესხებს დაკავშირებული მხარეებისგან, შესაბამისად კომპანია უშვებს, რომ სასესხო ვალდებულებების გადახდასთან შექმნილი პრობლემის შემთხვევაში მიიღებს მხარდაჭერას დაკავშირებული მხარეებისგან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. ფასს 16 "იჯარა"-ს, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, და შესაძლო გავლენის ასახვა მოხდება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის. 2017 წლის იანვრიდან საქართველოში მოგების გადასახადის აღრიცხვის წესი შეიცვალა და ამ თარიღიდან კომპანიის საგადასახადო მოგება ან ზარალი თანხვედრაშია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების მიხედვით მიღებულ მოგებასა ან ზარალთან, რაც თავის მხრივ აუქმებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების აღიარების საფუძველს ამ თარიღიდან. შესაბამისად კომპანიის მოგების გადასახადი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცხადებულ და გაცემულ დივიდენდებზე დარიცხულ გადასახადს, ასევე ისეთი ტიპის ხარჯის გადასახადს, რომელს შინაარსობრივად გათანაბრებულია დივიდენდთან.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნეს მოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნეს მოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს მოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნეს მოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნეს მოდელის (და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნეს მოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნეს მოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილ გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არ ანაზღაურებადი შეძენის გადასახადების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

წარმოების, საიჯარო ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან ჯერ არ განსაზღვრული მიზნებისათვის მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აისახება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, აღიარებული მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ფასი მოიცავს პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს, ადგილმდებარეობის მომზადებას, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს, კვალიფიცირებადი აქტივების პროფესიულ მოსაკრებლებს, აგრეთვე სასესხო ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობა-ნაგებობები	20 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3 წელი
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის ამორტიზაციას განსაზღვრულია შემცირებული ბალანსის მეთოდით წლიური 15%-ით, ასევე კომპანია ფლობს კომპანიის ლოგოს, რომლის ამორტიზაციას განისაზღვრება მსგავსად, შემცირებადი ბალანსის მეთოდით წლიური 15%-ით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს კომბინირებულ საკვებს, ფრინველის ცვეთას, შესაფუთ მასალებს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მოდებული მარაგების ჩამოწრა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლის მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებისგან და დაგროვილი მოგებისგან, კომპანიას არ აქვს დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში. კომპანიას არ აქვს ვალდებულება მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. ღივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში და ამონაგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი, იმის მიუხედავად როდის ხდება გადახდა.

ამონაგები საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან

საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად: დღგ).

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა, არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ გაუფასურების დანაკარგი არა ფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.0701	3.1044	2.7940
წლის საშუალო გაცვლითი კურსი			
	2018	2017	
1 USD/GEL	2.5345	2.5086	
1 EUR/GEL	2.9913	2.8322	

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის ბასს 39-ს (და ფასს 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

o ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.

o ფინანსური ვალდებულებებისათვის, ფასს 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

- o ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის, ფასს 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.
- o ჰეჯირების აღრიცხვისათვის, ფასს 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არა-ფინანსური რისკების საფრთხეების ჰეჯირებისას.
- o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის ბასს 39-დან. მენეჯმენტი მოელის, რომ ფასს 9 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება.

ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებიდან“ (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა).

მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიყენა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების მინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

